გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

პერსონალური ასისტენტების გადამზადება.

2. **თემატიკა:**
   პერსონალური ასისტენტების გადამზადება და გადამზადებული ასისტენტების მიერ სერვისების მიწოდება შშმ პირებისათვის რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობენ

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ორგანიზაცია ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

ქ. ბათუმი და მუნიციპალიტეტი საქართველოში არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი. ქ. ბათუმი არის მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქალაქი საქართველოში, მსხვილი საერთაშორისო ნავსადგური შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, მნიშვნელოვანი სამრეწველო, კულტურული და ტურისტული ცენტრი. ქ. ბათუმი გაშენებულია ღრმა, კარგად დაცული ბუნებრივი ნავსაყუდელის ბათუმის ყურის ნაპირას, ზღვის დონიდან 3 მეტრზე,

- **დასახელება:** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი;
- **გეოგრაფიული მდებარეობა:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
- **მოსახლეობის რაოდენობა:** 172100 კაცი (წყარო: საქ. სტატი);
- **ფართობი:** 64,94 კვ/მ;

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

ადამიანური რესურსი:

- მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური - უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვა - განხორციელებას, კოორდინაციას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უზრუნველყო პროცესის გამჭვირვალობა, საინფორმაციო მხარდაჭერა პროგრამის განხორციელების ყველა ეტაპზე მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტი წარმოადგენს რეგიონალურ ცენტრს, არის თვითმმართველი ქალაქი, რომელსაც გააჩნია საკუთარი შემოსავლები. მუნიციპალიტეტი არის როგორც საკურორტო, ასევე საპორტო ქალაქი, აქვს რკინიგზა და საერთაშორისო დონის აეროპორტი.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია იყოს გლობალური ქსელის ნაწილი, აქტიურად იყოს ჩართული მიმდინარე პროცესებში, აიღოს ვალდებულებები და პასუხიმგებლობა არსებული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა მსხვილ და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (unicef, კარიტასი და ა. შ) წევრია სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმების.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

შშმ პირთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-19-ე მუხლის თანახმად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შშმ პირთა დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილ ჩართვას. რაც შეიძლება მიღწეული იქნას პერსონალური ასისტენტის მომსახურებით. ამ მიზნის მისაღწევად პირველ ეტაპზე საჭიროა პერსონალურ ასისტენტებად გადამზადება, რომელიც შედგება თეორიული და პრაქტიკული ეტაპებისაგან.ხოლო მეორე ეტაპზე გადამზადებული ასისტენტების მიერ მოხდება სერვისების მიწოდება შშმ პირებისათვის რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ცდილობენ(სწავლობენ, მუშაობენ, ეწევიან სხვადასხვა აქტივობებს(სპორტული, კულტურული). რაც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის შესაძლებლობას.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებაში ჩართულობის გაფართოების მიზნით აუცილებელია პერსონალური ასისტენტების სერვისის დანერგვა, რომლის ამოქმედებისათვის აუცილებელია პერსონალური ასისტენტების გადამზადება. გადამზადება უნდა შედგებოდეს თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან. გადამზადების ხანგრძლივობა შეადგენს 22 დღეს. ღონისძიების განსახორციელებლად ჩატარებული იქნა ელექტრონული ტენდერი NAT 210011204 21.06.2021. რომელშიაც გაიმარჯვა ასოციაცია ,, ანიკამ'', გადამზადებული იქნა 12 პერსონალური ასისტენტი. ბიუჯეტი შეადგენდა 14400 ლარს.

ადამიანური რესურსი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 14400 ლარი

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

გადამზადებული იქნა 12 პერსონალური ასისტენტი, რომლებიც განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას დაეხმარებიან შშმ პირებს.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

არასამთავრობო ორგანიზაცია ,, ანიკასთან'' თანამშრომლობის შედეგად გადამზადებული იქნენ პერსონალური ასისტენტები. 2022 წლიდან დაიწყება მეორე ეტაპი . კერძოდ : გადამზადებული პერსონალური ასისტენტების მიერ მოხდება სერვისების მიწოდება შშმ პირებისათვის. როგორც გამოკითხვამ აჩვენა ამ სერვისის დანერგვა დადებითად იმოქმედებს შშმ პირთა საზოგადოებაში ჩართულობასა და ინკლუზიაზე

10. **საკრებულოს როლი:**

აღნიშნულ პროექტზე მუშაობის დასაწყებად და შემდგომში მის განსახორციელებლად აუცილებელი იყო საკრებულოს თანხმობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება. საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის #42 დადგენილებით იქნა დამტკიცებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები.ასევე ქ. ბათუმის მერიის 2018-2021 წლების განვითარების სტრატეგია.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

პერსონალური ასისტენტების გადამზადება იგეგმება შემდგომ წლებშიც, რაც კიდევ უფრო გააფართოებს შშმ პირთა რაოდენობას და ხელს შეუწყობს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და ინკლუზიას. .

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);
- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის # 42 დადგენილება
ელექტრონული ტენდერი NAT 210011204 21.06.2021.
ხელშეკრულება ასოციაცია ,, ანიკასთან''

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge